შპს „სელფი მობაილ“-ის კორპორაციული მართვის კოდექსი

ქ. თბილისი

16 ივლისი 2024 წელი

1. ინფორმაცია შპს „სელფი მობაილ“-ის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სელფი მობაილი“ (შემდგომში - „საზოგადოება“) დაფუძნებულია 2003 წლის 19 ნოემბერს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საზოგადოება 2003 წლიდან მოყოლებული წარმატებით ოპერირებს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე, წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან მობილურ ოპერატორს და წარმატებული ბიზნესის თვალსაჩინო მაგალითია.

საზოგადოების საქმიანობა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

1. **პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება** - საზოგადოების მმართველი ორგანოები საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ზემოაღნიშნული პრინციპით, როგორც შიდა ორგანიზაციულ ურთიერთობებში, იცავენ სუბორდინაციას ასევე საზოგადოების პარტნიორებსა და მესამე პირებთან ურთიერთობაში.
2. **გამჭირვალობა** - საზოგადოება თავისი საქმიანობას ახორციელებს გამჭვირვალეობის პრინციპით, კერძოდ მისი სტრუქტურული, შიდა ორგანიზაციული თუ ფინანსური ცვლილებები გამჭვირვალეა როგორც პარტნიორებისათვის, ასევე დაინტერესებული მესამე პირებისათვის. ფუნქციონირებს ვებ-გვერდი სადაც იდება სიახლეები საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებით.
3. **რისკების ეფექტური მართვა და წარმატებაზე ორიენტაცია** - საზოგადოების მმართველი ორგანოები, ასევე თითოეული დასაქმებული პირი წარმოადგენს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სუბიექტს, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი კორპორაციული ეთიკით და გამოცდილებით, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების წარმატებას ბაზარზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საზოგადოება ორიენტირებულია უზრუნველყოს შიდა კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტი, შესაბამისად იღებს შპს „სელფი მაბაილ“-ის კორპორაციული მართვის კოდექსს (შემდგომში „კოდექსი“), რათა საზოგადოების კორპორაციული მართვა სრულად შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს და საქართველოს კანონმდებლობას.

2. კორპორაციული მართვის კოდექსის მიზანი და გამოყენების სფერო

კორპორაციული მართვის კოდექსის მიზანია განსაზღვროს შპს „სელფი მობაილ“-ის კორპორაციული მართვის პრინციპები და ანგარიშგების მოთხოვნები, რომელიც გაზრდის საზოგადოების გამჭვირვალობის ხარისხს, აამაღლებს საზოგადოებისადმი და მისი მმართველი ორგანოს მიმართ ინვესტორთა ნდობას.

კორპორაციული მართვა წარმოადგენს საზოგადოების მართვისა და კონტროლის ერთიან სისტემას, რომელიც განსაზღვრავს უფლებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილებას საზოგადოების მმართველ ორგანოებს, პარტნიორებსა და საზოგადოებით დაინტერესებულ სხვა მხარეებს შორის. კორპორაციული მართვა, ასევე, მოიცავს გადაწყვეტილებების მიღებასა და საზოგადოების საქმიანობის განხორციელების ეფექტიანობაზე მონიტორინგთან დაკავშირებულ წესებსა და პროცედურებს.

საზოგადოება კორპორაციული მართვისას წინამდებარე კოდექსის გარდა ხელმძღვანელობს შემდეგი აქტებით: საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, საზოგადოების წესდება, ქცევის კოდექსი, საზოგადოების სტრატეგია, მდგრადი განვითარების მიზნები, საზოგადოების რისკების მართვის ჩარჩო, ანაზღაურების პოლიტიკა, სამეთვალყურეო საბჭოს შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები, სამეთვალყურეო საბჭოს თვითშეფასების და შეფასების პროცედურა, რისკებისა და შიდა აუდიტის კომიტეტის წესდება, პარტნიორებთან ან/და პოტენციურ პარტნიორებთან კომუნიკაციისა და ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკა და სხვა შიდა აქტები.

საზოგადოების შიდა ორგანიზაციული მოწყობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- საზოგადოების პარტნიორთა კრება
- საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო
- საზოგადოების გენერალური დირექტორი

საწარმოს საქმიანობის წინამდებარე კოდექსის მოთხოვნასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო გენერალური დირექტორი კი უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიან შესრულებას.

3. სამეთვალყურეო საბჭო

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს პარტნიორთა ინტერესებს პარტნიორთა კრებებს შორის პერიოდში და საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში აკონტროლებს და არეგულირებს საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობას. საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, სამეთვალყურეო საბჭო, პირველ რიგში, ითვალისწინებს საზოგადოების, პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს. სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტურ კომუნიკაციას და თანამშრომლობას.

სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად ხვდება გენერალურ დირექტორსა და შიდა კონტროლის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს, მათ შორის, შიდა აუდიტის, რისკის მართვისა და შესაბამისობის ფუნქციების განმახორციელებელ პირებს, სხვადასხვა პოლიტიკისა და კონტროლების განსახილველად, მნიშვნელოვანი რისკების, იმ საკითხებისა და სფეროების იდენტიფიცირების მიზნით, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებენ. გენერალურ დირექტორთან კომუნიკაციის ფარგლებში, სამეთვალყურეო საბჭო კრიტიკულად უნდა აფასებდეს გენერალური დირექტორის მიერ წარმოდგენილ განმარტებებს და შესაბამის ინფორმაციას.

სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს შპს „სელფი მობაილ“-ის ქცევის/ეთიკის კოდექსს და მონიტორინგს უწევს მის აღსრულებას.

სამეთვალყურეო საბჭოს მუდმივად აფასებს გენერალურ დირექტორს ჯანსაღი კორპორაციული და ეთიკური კულტურის დამყარებასა და შენარჩუნებაში, რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს არსებულ კანონმდებლობასთან, მათ შორის, საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსთან, ასევე საწარმოს ეთიკის კოდექსთან და საწარმოს შიდა სტანდარტებთან მუდმივ შესაბამისობას.

საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, სამეთვალყურეო საბჭო, პირველ რიგში, უნდა ითვალისწინებდეს საწარმოს, პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კომუნიკაცია და თანამშრომლობა.

სამეთვალყურეო საბჭომ წლიურ ანგარიშში უნდა აღწეროს ფინანსური წლის განმავლობაში მისი საქმიანობა, რომელიც, მათ შორის, მოიცავს საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის შესრულებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ასევე, მდგრადი განვითარების, გარემოსდაცვითი, სოციალურ და მმართველობის საკითხებს.

სამეთვალყურეო საბჭოს გააჩნია თვითშეფასების და შეფასების პროცედურა (რომელიც გაწერილია საზოგადოების შიდა აქტით), შესაბამისად ყოველწლიურად შეფასებას ექვემდებარება საბჭოს სტრუქტურა, ზომა და შემადგენლობა, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტის სტრუქტურა და კოორდინაცია, საბჭოს თითოეული წევრის შესაბამისობა კანონმდებლობისა და საზოგადოების შიდა წესების მოთხოვნებთან, ასევე, შეფასებას ექვემდებარება საბჭოს შიდა მმართველობითი პრაქტიკების და პროცედურების ეფექტურობა.

სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება წინამდებარე კოდექსით, საზოგადოების წესდებით, პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა და დაკომპლექტება - სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტებულია 5 წევრისგან, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია და უნარი, ერთობლივად უზრუნველყოს საზოგადოების საქმიანობის სათანადოდ წარმართვა და რისკების მართვის ეფექტური ექსპერტიზა. სამეთვალყურეო საბჭოს 2 წევრს უნდა გააჩნდეს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი და შესაბამისი გამოცდილება ფინანსურ, ეკონომიკურ, აუდიტორულ ან/და სხვა დაკავშირებულ სფეროებში. სამეთვალყურეო საბჭოს სულ მცირე 2 წევრი წარმოადგენს დამოუკიდებელ წევრს, რომელთაც საქმიანობის განხორციელებისას შესაძლებლობა აქვთ გადაწყვეტილებები მიიღონ ობიექტურად და დამოუკიდებელად ან სხვა გარე მხარის გავლენის/პოტენციური გავლენის გარეშე. სამეთვალყურეო საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ წევრს და რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს ეფექტიან ფუნქციონირებაზე, მათ შორის, საბჭოს წევრებს შორის ნდობისა და კოლეგიალური ურთიერთობის კოორდინაციასა და ეფექტიან თანამშრომლობაზე. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს დაკომპლექტებისას პარტნიორთა კრება ხელმძღვანელობს, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შერჩევის კრიტერიუმებით, რომელიც განისაზღვრება საზოგადოების შიდა დოკუმენტით, წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის ან/და უფლებამოსილების შეწყვეტის, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილების ვადა და ფარგლები განისაზღვრება საზოგადოების წესდებით.

სამეთვალყურეო საბჭო იკრიბება სულ მცირე კვარტალში ერთხელ.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსთან ფუნქციონირებს აუდიტის კომიტეტი, რომელიც წინასწარ განიხილავს სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

აუდიტის კომიტეტი - საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შექმნილია აუდიტის კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტებულია სამეთვალყურეო საბჭოს 3 წევრისგან, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი უნარ-ჩვევები და გამოცდილება ფინანსურ, ეკონომიკურ, აუდიტორულ ან/და სხვა დაკავშირებულ სფეროებში.

აუდიტის კომიტეტის საქმიანობას წარმართავს აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი და ამავდროულად არ უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან/და სხვა კომიტეტის თავმჯდომარე

აუდიტის კომიტეტის წევრი არ შეიძლება იყოს საზოგადოების მიმდინარე აუდიტის განმახორციელებელი ფირმის/აუდიტორის ყოფილი პარტნიორი ან დირექტორი:

ა) აუდიტორული ფირმის პარტნიორის ან დირექტორის პოზიციის დატოვებიდან 12 თვის განმავლობაში;

ბ) თუ მას აქვს გარკვეული სახის ფინანსური ინტერესი აუდიტორულ ფირმაში მიუხედავად პოზიციის დატოვებისა.

სამეთვალყურეო საბჭო გონივრული პერიოდულობით ცვლის კომიტეტის თავმჯდომარესა და წევრთა შემადგენლობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას კომიტეტის საქმიანობაში ახალი ხედვებისა და მიმართულებების წახალისება.

აუდიტის კომიტეტი იკრიბება წელიწადში სულ მცირე ოთხჯერ და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშგებას წლიური და ნახევარ წლიური ანგარიშგების დამტკიცების პერიოდის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია მოითხოვოს დირექტორთა, გარე აუდიტორების და სხვა დაქირავებული პირების შეხვედრაზე დასწრება.

სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტი თავისი ფუნქციების შესრულებისას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული აუდიტის კომიტეტის დებულებითა და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსით.

სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტი განიხილავს ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკას და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად.

სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის კოორდინაციისთვის და კარგი კორპორაციული პრაქტიკის დასამკვიდრებლად საბჭოსთან ფუნქციონირებს კორპორაციული მდივნის ინსტიტუტი.

კორპორაციული მდივანი - წარმოადგენს უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფ პირს, რომელიც ახორციელებს საზოგადოების მმართველი ორგანოს, პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმაციულ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

კორპორაციულ მდივანს თანამდებობაზე ირჩევს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო.

კორპორაციული მდივანი თავისი ფუნქციების შესრულების ფარგლებში წარმოადგენს უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფ პირს, რომელიც ახორციელებს საწარმოს მმართველი ორგანოს, პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმაციულ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

კორპორაციული მდივანი თავის ფუნქციებს ახორციელებს დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად, მისი უფლებამოსილებები და ვალდებულებები დეტალურად არის განსაზღვრული საზოგადოების შიდა აქტით.

კორპორაციული მდივანი წარმოადგენს შიდა ორგანიზაციულ დონეზე სამეთვალყურეო საბჭოს დამაკავშირებელ რგოლს საზოგადოების ერთპიროვნულ აღმასრულებელ ორგანოსთან - გენერალურ დირექტორთან.

4. გენერალური დირექტორი - ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანო

გენერალური დირექტორი - წარმოადგენს საზოგადოების ერთპიროვნულ აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც აღასრულებს საზოგადოების ბიზნეს სტრატეგიებს, ასევე პასუხისმგებელია საზოგადოების თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების სწორად

გადანაწილებასა და ეფექტური მმართველობის სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც საზოგადოების შიგნით ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

საზოგადოების გენერალურ დირექტორს უნდა გააჩნდეს თავისი ფუნქციების შესრულებისთვის აუცილებელი დრო, რესურსი, სათანადო კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება, შესაბამისი კომპეტენცია, საქმის და საზოგადოების მდგრადი განვითარებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება.

საზოგადოების გენერალურ დირექტორს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. მისი შერჩევის, დანიშვნის და თანამდებობის დატოვების საკითხები რეგულირდება საზოგადოების წესდებით.

გენერალური დირექტორი წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობებში, უძღვება საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობას. გენერალური დირექტორის ფუნქციებს დეტალურად განსაზღვრავს წესდება, საზოგადოების შიდა აქტები, მასთან გაფორმებული სასამსახურო ხელშეკრულება და შესაბამისი კანონმდებლობა. გენერალური დირექტორი თავისი ფუნქციების განხორციელებისას არის სრულიად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, გადაწყვეტილებების მიღებისას ხელმძღვანელობს საზოგადოების ინტერესებით.

ეფექტური კორპორაციული მართვის დასამკვიდრებლად უმნიშვნელოვანესი ფაქტორია გახსნილი დიალოგი სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელ ორგანოს - გენერალურ დირექტორს შორის. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად გენერალური დირექტორი ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე და რეგულარულად სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვნის შესაბამისად წარუდგენს ანგარიშს, საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის შესახებ.

5. პარტნიორთა კრება

საზოგადოების პარტნიორთა კრება წარმოადგენს საზოგადოების მმართველობის უმაღლეს ორგანოს, რომლის მეშვეობითაც პარტნიორები ახორციელებენ თავის უფლებას მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში.

საზოგადოების პარტნიორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელსაც შეძენილი აქვს წილი საზოგადოების კაპიტალში მოქმედი კანონმდებლობის, საზოგადოების წესდების და პარტნიორთა შეთანხმების საფუძველზე.

საზოგადოების პარტნიორს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში, მათ შორის მონაწილეობა მიიღოს პარტნიორთა კრებებში და აირჩიოს საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრები, მიიღოს ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ, მიიღოს დივიდენდი, პარტნიორის კონკრეტული უფლებები გაწერილია საქართველოს კანონმდებლობით, საზოგადოების წესდებით და სხვა შიდა აქტებით.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო და გენერალური დირექტორი ანგარიშვალდებულნი არიან საზოგადოების პარტნიორთა კრების წინაშე.

სამეთვალყურეო საბჭო და გენერალური დირექტორი უზრუნველყოფენ:

- იმ პარტნიორთა თანაბარ მოპყრობას, რომლებიც თანაბარ პირობებში იმყოფებიან;
- ფასიანი ქაღალდის/ბონდების მფლობელთა უფლებებისა და ფასიანი ქაღალდების/ბონდების პირობების ცვლილებების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას;

- პარტნიორთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციისა და საშუალებების ხელმისაწვდომობას;
- რომ აქციონერებმა კარგად გააცნობიერონ კორპორაციული მართვის პრინციპები;
- შესაბამისი განმარტებების მიცემას პარტნიორებისათვის კოდექსიდან გადახვევის შემთხვევაში, ასევე, საშუალების მიცემას პარტნიორებისათვის გამოთქვან თავიანთი დასაბუთებული მოსაზრებები აღნიშნულთან დაკავშირებით;
- გამართონ დიალოგი პარტნიორებთან, თუ ისინი არ ეთანხმებიან საზოგადოების პოზიციას ზომითი კატეგორიის, კომპლექსურობის, მის წინაშე არსებული რისკებისა და გამოწვევების გათვალისწინებით;
- რომ დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ თავისუფლად გამოთქვან თავიანთი მოსაზრება საწარმოში არსებულ არაკანონიერ ან არაეთიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებით და ეს არ უნდა გახდეს მათი უფლებების შელახვის მიზეზი.

პარტნიორები უფლებამოსილნი არიან საკუთარი უფლებები დაიცვან და მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება კანონის შესაბამისად.

საზოგადოება უზრუნველყოფს პარტნიორებთან და პოტენციურ პარტნიორებთან კომუნიკაციისა და ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც რეგულირდება შესაბამისი შიდა ნორმატიული აქტით. პარტნიორებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალური დირექტორისგან მათთვის საჭირო ინფორმაცია.

პარტნიორთა კრება იმართება წელიწადში სულ მცირე ერთხელ. პარტნიორმა ასევე შეიძლება მოითხოვოს რიგგარეშე პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეთვალყურეო საბჭო და გენერალური დირექტორი პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, უზრუნველყოფენ ეფექტურ და სამართლიან ურთიერთობას პარტნიორებთან და ხელს უწყობენ პარტნიორების აქტიურ მონაწილეობას საერთო კრების მუშაობაში.

პარტნიორთა საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს პარტნიორთა კრების არჩეული თავმჯდომარე. კრების თავმჯდომარეს ხმათა უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება. მმართველი ორგანოს ყველა წევრი და სხვა კომიტეტების თავმჯდომარეები, ასევე გარე აუდიტორები შეიძლება ესწრებოდნენ წლიურ საერთო კრებას. საერთო კრების ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს, რომ პარტნიორთა კითხვებს გაეცეს პასუხი. გენერალურმა დირექტორმა უნდა უპასუხოს პარტნიორთა კითხვებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პასუხი მატერიალურ ზიანს მიაყენებს საზოგადოებას, მის პარტნიორებსა და დასაქმებულებს, ან დაარღვევს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებები რომელიც არ შეიცავს კომერციულ საიდუმლოებას საჯაროა, ასევე საჯაროა პარტნიორთა მორიგი (ყოველწლიური) პარტნიორთა კრების ოქმები. საჯარო შინაარსის მქონე პარტნიორთა კრების ოქმი თავსდება საზოგადოების ვებ გვერდზე.

6. საზოგადოების ფინანსური ინფორმაციის გამჭირვალობა

საზოგადოების შესახებ ინფორმაციის გახსნის პოლიტიკის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს საზოგადოების მიმართ მაქსიმალური ნდობა აქციონერების, პოტენციური ინვესტორების, კონტრაგენტების და სხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან. მითითებული პირებისთვის საზოგადოების საქმიანობის და ფასიანი ქაღალდების შესახებ იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც საკმარისია აღნიშნული პირების მიერ დასაბუთებული და

შეწონილი გადაწყვეტილებების მისაღებად საზოგადოებასა და მის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით.

საზოგადოება ყოველწლიურად ახორციელებს აუდიტს, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და აღნიშნული ხელმისაწვდომია საზოგადოების ოფიციალურ ვებ გვერდზე. საზოგადოება პასუხისმგებელია იმ ინფორმაციის სანდოობაზე, რომელიც თავსდება მის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა კანონით დადგენილ ფარგლებში მიიღოს ინფორმაცია საზოგადოების აქტივებსა და ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ინფორმაციის გახსნისას საზოგადოება ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

გასახსნელი ინფორმაციის სისრულის და სარწმუნოობის პრინციპი, რომლის თანახმად, საზოგადოება ყველა დაინტერესებულ პირს აწვდის ინფორმაციას, რომელიც შეესაბამება სინამდვილეს.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპი, რომლის შესაბამისად საზოგადოება, ინფორმაციის გახსნისას, იყენებს თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების არხებს, რომლებიც უზრუნველყოფს ინფორმაციის თავისუფალ და ადვილ წვდომას;

ინფორმაციის დაბალანსებულობის პრინციპი, რომელიც ნიშნავს, რომ საზოგადოების საინფორმაციო პოლიტიკა ეფუძნება ერთის მხრივ, ყველა დაინტერესებული პირისთვის საზოგადოების გამჭვირვალობის და მეორეს მხრივ, კონფიდენციალურობის გონივრულ ბალანსს.

ინფორმაციის გახსნის რეგულარულობის და დროულობის პრინციპი, რომელიც განსაზღვრავს, რომ საზოგადოება აწვდის აქციონერებს, კრედიტორებს, პოტენციურ ინვესტორებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს ინფორმაციას თავისი საქმიანობის შესახებ საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით და საზოგადოების შიდა დოკუმენტებით დათქმულ ვადებში.

7. ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის კონტროლი

ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის შიდა კონტროლი ორიენტირებულია შემდეგი მიზნების მიღწევაზე:

- ფინანსური, ბუღალტრული, სტატისტიკური, მმართველობითი და სხვა ანგარიშგების სისრულისა და სარწმუნოობის უზრუნველყოფა;
- საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შესრულების, საზოგადოების მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების და კომპანიის შიდა დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფა;
- საზოგადოების აქტივების დაცულობის უზრუნველყოფა;
- საზოგადოების მიერ დასახული მიზნების ყველაზე ეფექტური გზით შესრულების უზრუნველყოფა;
- საზოგადოების რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენების უზრუნველყოფა;
- ფინანსური და საოპერაციო რისკების დროული გამოვლენის და ანალიზის უზრუნველყოფა, რომლებმაც შეიძლება არსებითი უარყოფითი (ნეგატიური) ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების მიზნების მიღწევაზე, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ სამეურნეო საქმიანობასთან.

საზოგადოების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის კონტროლის სისტემა მოიცავს კონტროლის პროცედურებს, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით, პარტნიორთა საერთო კრების და საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებით (უშუალოდ და აუდიტის კომიტეტის მეშვეობით), აგრეთვე, ცალკეულ სტრუქტურულ ქვედანაყოფს, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ასეთი კონტროლი.

საზოგადოებაში მოქმედი ქვედანაყოფების ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები, პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საზოგადოების ორგანიზაციულ-განმკარგულებელი დოკუმენტებით.

საზოგადოების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის კონტროლის სისტემური ხასიათის უზრუნველყოფის მიზნით, შიდა კონტროლის პროცედურების ჩატარების განხორციელება ხდება საზოგადოების უფლებამოსილი ქვედანაყოფის ან კომიტეტის მიერ, რომელიც პასუხს აგებს შიდა კონტროლზე საზოგადოების სხვა ორგანოებსა და ქვედანაყოფთან ურთიერთქმედებაში.

კონკრეტული პროცედურები, ასევე ორგანოები და პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან შიდა კონტროლის პროცედურების განხორციელებაზე, განისაზღვრებიან საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით საზოგადოების შიდა კონტროლის პროცედურების შესახებ.

8. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე კოდექსი ძალაში შედის საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.